საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
MINISTRY OF FINANCE AND ECONOMY

www.mofea.ge

6018 ქ. ბათუმი, კომახიძის ქ. №119 ტელეფონი: (04 22) 27 35 10 (102) ფაქსი: (04 22 27 66 71)
6018 №119 Komakhidze str, Batumi, Georgia Tel: (04 22) 27 35 10 (102) Fax: (04 22 27 66 71)

4-01-4-202201121412 12/01/2022

ბრძანება

N 01-01-6/4

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრსა და მინისტრის მოადგილეებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2017 წლის 4 აპრილის №7 დადგენილებით დამტკიცებული „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს დებულების“ მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ და „ნ“ ქვეპუნქტების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ფუნქციების ეფექტიანი განხორციელების უზრუნველსაყოფად, გაიმიჯნოს უფლებამოსილებები მინისტრსა და მინისტრის მოადგილეებს შორის მათდამი უშუალოდ დაქვემდებარებული, სამინისტროს სისტემის შემადგენელი სტრუქტურული ერთეულების/ქვედანაყოფების/დაწესებულებების მიხედვით:

ა) მინისტრს უშუალოდ ექვემდებარება:

ა.ა) ადმინისტრაციული დეპარტამენტი;

ა.ბ) შიდა აუდიტის დეპარტამენტი;

ა.გ) საბიუჯეტო დეპარტამენტი;

ა.დ) საფინანსო და საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების დეპარტამენტი;

ა.ე) ეკონომიკური განვითარების დეპარტამენტი;

ა.ვ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - სახაზინო სამსახური;

ა.ზ) სსიპ „სამრეწველო პალატა“;

ა.თ) ა(ა)იპ „ბათუმის ბიზნესინკუბატორი“;

ბ) მინისტრის პირველ მოადგილეს (ოთარ დიასამიძე) უშუალოდ ექვემდებარება:

ბ.ა) საინვესტიციო დეპარტამენტი;

ბ.ბ) ქონების მართვისა და პრივატიზების დეპარტამენტი;

ბ.გ) სამართლებრივი უზრუნველყოფისა და სახელშეკრულებო მონიტორინგის დეპარტამენტი;

ბ.დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზების დეპარტამენტი;

გ) მინისტრის მოადგილეს (სულხან ღლონტი) უშუალოდ ექვემდებარება:

გ.ა) სივრცითი მოწყობისა და ტექნიკური ზედამხედველობის დეპარტამენტი;

გ.ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი;

გ.გ) სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ლაბორატორია.

გ.დ) სსიპ „ბათუმის ბულვარი“.

2. მინისტრის მოადგილეები, როგორც წესი, ახორციელებენ სამინისტროს წარმომადგენლობას მათთვის დელეგირებულ საკითხებზე და სამინისტროს სახელით ხელს აწერენ მათ დაქვემდებარებაში არსებული სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების მიერ მომზადებულ დოკუმენტაციას.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრსა და მინისტრის მოადგილეებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2019 წლის 22 ივლისის №01-01-6/94 ბრძანება.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ჯაბა ფუტკარაძე

მინისტრი

.

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
MINISTRY OF FINANCE AND ECONOMY

www.mofea.ge

6018 ქ. ბათუმი, კომახიძის ქ. №119 ტელეფონი: (04 22) 27 35 10 (102) ფაქსი: (04 22 27 66 71)
6018 №119 Komakhidze str, Batumi, Georgia Tel: (04 22) 27 35 10 (102) Fax: (04 22 27 66 71)

49-01-4-202206091556 09/06/2022

ბრძანება

N 01-01-6/49

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრსა და მინისტრის მოადგილეებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2022 წლის 12 იანვრის N01-01-6/4 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრსა და მინისტრის მოადგილეებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2022 წლის 12 იანვრის N01-01-6/4 ბრძანებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) ბრძანებას დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ“ ქვეპუნქტი:

„დ) მინისტრის მოადგილეს (გიორგი სურმანიძე) უშუალოდ ექვემდებარება ეკონომიკური განვითარების დეპარტამენტი.“.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ჯაბა ფუტკარაძე

მინისტრი

.